პი ემ სი კვლევითი
ცენტრი

ფიფლ ინ ნიდ

სოფლად ეკონომიკის დივერსიფიკაცია საქართველოში

2019
თბილისი

პი ემ სი კვლევითი ცენტრი პოლიტიკის ნარკვევი

პოლიტიკის ნარკვევი
პი ემ სი კვლევითი ცენტრი
ფიფლ ინ ნიდ

მიხეილ სხიერელი

სოფლად ეკონომიკის დივერსიფიკაცია საქართველოში

2019
თბილისი

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

CZECH REPUBLIC
DEVELOPMENT COOPERATION

პროექტი „**სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობის მხარდასაჭერად**“ დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და ახორციელებს „ფიფლ ინ ნიდ”

PEOPLE IN NEED
CZECH REPUBLIC

პროექტის პარტნიორები არიან:

წინამდებარე პუბლიკაცია გამოცემულია ევროკავშირის დახმარებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ “ფიფლ ინ ნიდ” და პი ემ სი კვლევითი ცენტრი და პუბლიკაციის შინაარსის ევროკავშირის პოზიციად აღქმა დაუშვებელია.

სარჩევი

შესავალი 6

1. სოფლად ეკონომიკის დივერსიფიკაციის მნიშვნელობა 6

1.1. სოფლად ეკონომიკური განვითარების განახლებული ხედვა 6

1.2. სოფლებსა და ქალაქებს შორის კავშირების მნიშვნელობა 7

2. ევროკავშირის პრიორიტეტები სოფლად ეკონომიკური დივერსიფიკაციის მიმართულებით 8

2.1. ევროკავშირის მიდგომა სოფლად ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად 8

2.2. სოფლად ეკონომიკის დივერსიფიკაცია ევროკავშირში 9

3. სოფლის განვითარება საქართველოში 10

3.1. სოფლად ეკონომიკის განვითარების და არსებული პრიორიტეტების მიმოხილვა 10

3.2. სოფლად ეკონომიკური დივერსიფიკაციის მხარდაჭერა 12

4. საერთაშორისო გამოცდილება - სოფლად ეკონომიკის განვითარება შოტლანდიაში 14

5. რეკომენდაციები 16

დანართი: კვლევის პრეზენტაციები 17

გამოყენებული ლიტერატურა 18

შესავალი

სოფლად ეკონომიკის დივერსიფიკაცია და განვითარება მნიშვნელოვანია სიღარიბის დაძლევის, ცხოვრების დონის ამაღლების და სოფლად ცხოვრების სიკეთეებით სრულად სარგებლობისათვის. შესაბამისად, სოფლად ეკონომიკის დივერსიფიკაცია საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტია. აღნიშნული პროცესის წარმატებით წარმართვისათვის საჭიროა სწრაფად შეივსოს ცოდნის და გამოცდილების ის დანაკლისი, რომელიც არსებობს სახელმწიფო ინსტიტუტებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში და მოსახლეობაში.

პოლიტიკის დოკუმენტის მიზანია სოფლად ეკონომიკური დივერსიფიკაციის თემაზე არსებული საინფორმაციო დანაკლისის შევსება და საქართველოში განსახორციელებელი შემდგომი ნაბიჯების შესახებ დიალოგის სტიმულირება. ის მიმოიხილავს სოფლად ეკონომიკის დივერსიფიკაციის მნიშვნელობას, ევროკავშირის მიდგომებს და გამოცდილებას სოფლად ეკონომიკის განვითარების მიმართულებით და საქართველოში ამ კუთხით არსებულ პრობლემებს. აღნიშნულის საფუძველზე შემუშავებულია რეკომენდაციები სოფლად ეკონომიკის დივერსიფიკაციის მხარდასაჭერად.

1. სოფლად ეკონომიკის დივერსიფიკაციის მნიშვნელობა

ჩვენ ვცხოვრობთ ეპოქაში, რომელშიც დიდ ქალაქებში „ურბანული სოფლის მეურნეობა" ვითარდება, ხოლო სოფლად ეკონომიკის დივერსიფიკაცია პოლიტიკის განმსაზღვრელების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს. ინფრასტრუქტურის და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება, ინოვაციები და კრეატიული მიდგომა უფრო აახლოებს სოფელს და ურბანულ ცენტრებს, ზრდის მათ ურთიერთდამოკიდებულებას და ურბანული და სოფლის განვითარების პროექტების სინერგიების საშუალებას.

1.1. სოფლად ეკონომიკური განვითარების განახლებული ხედვა

სოფლად ეკონომიკის დივერსიფიკაციის მნიშვნელობის სწორად გაგებისათვის აუცილებელია მისი ევოლუციის ანალიზი, რაც დაგვეხმარება კონცეფციის განმარტებაში, სოფლად მცხოვრები საზოგადოების კეთილდღეობის მიღწევის საქმეში დივერსიფიკაციის როლის განსაზღვრაში და პრიორიტეტების სწორად ჩამოყალიბებაში.

2003 წელს გამართულმა სოფლის განვითარებისადმი მიძღვნილმა ზალცბურგის კონფერენციამ დაასკვნა, რომ სასოფლო რაიონების განვითარება აღარ შეიძლება მხოლოდ სოფლის მეურნეობას დაეფუძნოს. დივერსიფიკაცია როგორც საკუთრივ სოფლის მეურნეობის სექტორში, ასევე მის ფარგლებს გარეთ აუცილებლად იქნა მიჩნეული სიცოცხლისუნარიანი და მდგრადი სასოფლო საზოგადოების ხელშესაწყობად (European Communities, 2008). ხაზგასმულია, რომ ალტერნატიული დასაქმების საშუალებების ნაკლებობა, საჯარო სერვისებზე სუსტი ხელმისაწვდომობა, ასევე ასაკობრივი სტრუქტურა მნიშვნელოვნად ამცირებს განვითარების პოტენციალს (European Communities, 2008). ანალოგიურ პოზიციას გამოხატავს ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაცია, რომელიც აღნიშნავს, რომ სოფლის მეურნეობა აღარ არის ერთადერთი ეკონომიკური აქტივობა სოფლად (OECD, 2015).

ფერმერული მეურნეობების დივერსიფიკაციის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი არის მცენარეული და ცხოველური ავადმყოფობების რისკები, ბუნებრივი კატასტროფები და არამდგრადი ამინდი, რომლებიც საფრთხეს უქმნის სასოფლო-სამეურნეო წარმოებიდან შემოსავლის მიღებას. შემოსავლის სტაბილიზაციის ან გაზრდის ერთ-ერთ ალტერნატივას წარმოადგენს ფერმერთა აქტივების გამოყენება არასასოფლო სამეურნეო საქმიანობაში დივერსიფიკაციისათვის (European Parliament, 2016). კიდევ ერთ მიზეზს წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო სექტორის მოდერნიზაცია. ის იწვევს დარგის შრომატევადობის შემცირებას, რაც განაპირობებს არასასოფლო სამეურნეო სოფლის ეკონომიკის მნიშვნელობის გაზრდას (OECD, 2018).

დღეის მდგომარეობით, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრი ქვეყნების ეკონომიკები სოფლად დივერსიფიცირებულები არიან ისეთი სფეროების მიმართულებით, როგორიცაა ტურიზმი, განახლებადი ენერგიის წარმოება, ხელოვნება და კულტურული ინდუსტრიები, ბუნებრივი წიაღისეული სექტორებისათვის გამიზნული სერვისები (OECD, 2018). ევროკავშირში, ევროსტატის

ფერმერული მეურნეობების სტრუქტურის 2010 წლის გამოკვლევის თანახმად, დაახლოებით სამიდან ერთი ფერმერი ეწეოდა ფერმერული მეურნეობიდან განსხვავებულ, სარგებლის მომცემ საქმიანობას (European Parliament, 2016).

ათწლეულების განმავლობაში სასოფლო რაიონებში ეკონომიკური ზრდის პოლიტიკის განმარტებითი ჩარჩო გადაერთო ეგზოგენური ზრდიდან, ანუ გარე ფაქტორებით წარმართული განვითარებიდან, ენდოგენური ზრდისაკენ, რომელზეც ძირითად გავლენას ახდენს კონკრეტული ადგილის რესურსები. ამჟამინდელი მიდგომა აღიარებს შერეულ მოდელს, რომლის მიზანიცაა გამოიყენოს სასოფლო რაიონების ბუნებრივი, ადამიანური და სოციალური კაპიტალი გარედან მომდინარე პოტენციურ მხარდაჭერაზე და სინერგიებზე უარის თქმის გარეშე (European Commission, 2016). სწორედ ადგილობრივი სიმდიდრის და მხარდაჭერის საშუალებების გონივრულად გამოყენება, განვითარების სხვადასხვა პროექტებს შორის სინერგიების წახალისება და სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ჩართულობა უნდა გახდეს სოფლად ეკონომიკური დივერსიფიკაციის და განვითარების მამოძრავებელი ძალა.

1.2. სოფლებსა და ქალაქებს შორის კავშირების მნიშვნელობა

ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაცია სასოფლო რაიონების განვითარებისათვის მნიშვნელოვნად მიიჩნევს კავშირების წახალისებას სოფლებსა და ქალაქებს შორის (OECD, 2018). ბოლო დრომდე სოფლის და ქალაქის ეკონომიკური და ტერიტორიული განვითარება ცალკე საკითხები იყო როგორც კვლევის, ასევე პოლიტიკის მიზნებისათვის (OECD, 2013). ორგანიზაცია სოფლის და ქალაქის კავშირების ხუთ კატეგორიას გამოყოფს:

- დემოგრაფიული კავშირები
- ეკონომიკური ტრანზაქციები და ინოვაციური საქმიანობა
- საჯარო სერვისების მიწოდება
- გარემოსთან დაკავშირებული და კომუნალური სიკეთეების ურთიერთგაცვლა
- მრავალდონიანი მმართველობის ინტერაქციები

დემოგრაფიული კავშირები ასახავს მიგრაციის სტრუქტურას და სამუშაოდ რეგულარულ გადაადგილებას. აღნიშნული კატეგორია მნიშვნელოვანია სოფლად ეკონომიკის განვითარებისათვის და დივერსიფიკაციისათვის, ვინაიდან სოფლად მაცხოვრებელთა ზრდა ახალ დინამიკას ძენს ადგილობრივ განვითარებას და ხელს უწყობს გარკვეულ პროდუქციასა და მომსახურებაზე მოთხოვნის ზრდას. ეკონომიკური ტრანზაქციების და ინოვაციური საქმიანობის მიმართულებით აღსანიშნავია ქალაქების მიერ სასოფლო რაიონების სამეწარმეო სექტორისათვის მიწოდებული სერვისები, რომლებიც მნიშვნელოვანია როგორც სასოფლო-სამეურნეო, ასევე სხვა სექტორების დინამიური განვითარებისათვის.

ბიზნესსა და სამეცნიერო-კვლევით სექტორებს შორის ინტენსიური კავშირების მქონე შედარებით განვითარებულ ქვეყნებში სოფლად მდებარე საწარმოები და ქალაქებში მდებარე კვლევითი ცენტრები ერთობლივ კვლევით პროექტებს ახორციელებენ. სოფლად ეკონომიკის განვითარებისა და დივერსიფიკაციისათვის მნიშვნელოვანია ხელმისაწვდომობა ისეთ სერვისებზე, როგორიცაა განათლება, ჯანდაცვა, ტრანსპორტი, სოციალური მომსახურება, ნარჩენების მართვა და ა.შ., რომელთა ძირითადი მიმწოდებელიც ურბანულ დასახლებებში განლაგებული შესაბამისი დაწესებულებებია. რაც შეეხება გარემოს და კომუნალურ სიკეთეებს, აქ ქალაქის მაცხოვრებლებს იზიდავს სოფლის სუფთა ჰაერი და ეკოლოგიურად სუფთა, მშვიდი საცხოვრებელი გარემო, ხოლო სოფლად მაცხოვრებლებისათვის მნიშვნელოვანია ხელმისაწვდომობა ქალაქში გამართულ კულტურულ ღონისძიებებზე, სავაჭრო ცენტრებზე და მსგავს სერვისებზე. ზოგადად, სასოფლო რაიონები და ქალაქები ფლობენ ისეთ ურთიერთგანსხვავებულ რესურსებს, რომლებიც აუცილებელია მათი განვითარებისათვის.

აღსანიშნავია, რომ ურბანულ ცენტრებთან სიახლოვე, ასევე ესთეტიკური ღირებულებები მნიშვნელოვნად განსაზღვრავს სასოფლო რაიონების უნარს მოიზიდოს ახალი რეზიდენტები საცხოვრებლად და ბიზნესის დასაწყებად, მაშინ როდესაც ამ მახასიათებლების არ მქონე სასოფლო რაიონები დიდწილად თავიანთ მოსახლეობას უნდა დაეყრდნონ ახალი საწარმოების შესაქმნელად (OECD, 2018).

2. ევროკავშირის პრიორიტეტები სოფლად ეკონომიკური დივერსიფიკაციის მიმართულებით

2.1. ევროკავშირის მიდგომა სოფლად ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად

ევროკავშირის ინსტიტუტებში და წევრ ქვეყნებში სოფლად ეკონომიკური განვითარების მიმართულებით მნიშვნელოვანი გამოცდილებაა დაგროვილი. ეს მოიცავს სოფლად ეკონომიკური განვითარების მხარდამჭერი პროექტების და პროგრამების შემუშავებას, დამტკიცებას და განხორციელებას, მათ მონიტორინგს და შეფასებას, მიღებული შედეგების გაანალიზებას არსებული ნაკლოვანებების გამოსწორების და შემდგომი პროგრამების უკეთესად დაგეგმვის მიზნით. განსაკუთრებით ღირებულია ევროკავშირის წევრი ქვეყნების გამოცდილება სოფლად ეკონომიკური განვითარების პროცესებში მოსახლეობის ფართო ჩართულობის უზრუნველსაყოფად. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სოფლად ეკონომიკური განვითარების პროექტების შემუშავებისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სამიზნე სასოფლო რაიონის გეოგრაფიულ, სოციალურ და ეკონომიკურ მახასიათებლებს.

ევროკავშირი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ინტეგრირებულ და კონკრეტულ ადგილზე დაფუძნებულ მიდგომებზე ფოკუსირებას, რომლებიც დეტალურად აანალიზებს სექტორებს და მხედველობაში იღებს ადგილობრივ აქტივებს და შეზღუდვებს (European Commission, 2016). სასოფლო რაიონების განვითარების დინამიკის გასაგებად, კვლევითმა საქმიანობამ უნდა მოიცვას მთავარი ტენდენციები, რომლებიც გავლენას ახდენენ სასოფლო რაიონებზე, როგორც ეკონომიკურად, ისე სოციალურად და უნდა განასხვავოს რაიონები, რომლებსაც ახასიათებთ სხვადასხვა გარემო და დაშორების სხვადასხვა ხარისხი. ეს მოიცავს დემოგრაფიულ ტენდენციებს (დაბერება, მიგრაცია ქვეყნებს შორის და ქვეყნის შიგნით, ქალების და ახალგაზრდების შერჩევითი მიგრაცია, ცხოვრების სტილი), ბაზრის დინამიკას (დაფინანსება სოფლად, ბაზრის ძალა, კონცენტრაცია აღმავალ და დაღმავალ ინდუსტრიებში), ცვალებად სტრუქტურებს, მიწის ფლობას და დასაქმების მოდელებს (განსაკუთრებით ფერმერულ საქმიანობაში), კლიმატის ცვლილებებს, მომსახურების და ციფრული განვითარების ტენდენციებს და მათ გავლენას პირველადი სექტორის მიმზიდველობაზე (European Commission, 2016).

სოფლად ეკონომიკური საქმიანობების დივერსიფიკაცია წარმოადგენდა ევროკავშირის სოფლის განვითარების პოლიტიკის მთავარ მიზანს 2007-2013 წლებისათვის. ამ მიმართულებით ევროკავშირი მხარს უჭერდა არასასოფლო სამეურნეო საქმიანობის მიმართულებით დივერსიფიკაციას, ბიზნესის შექმნას და განვითარებას, ტურისტული აქტივობების წახალისებას, სწავლებას და ახალი უნარების ათვისებას, სოფლად არსებული მემკვიდრეობის კონსერვაციას და განახლებას.

2014-2020 წლებისათვის ევროკავშირის სოფლის განვითარების პოლიტიკა 6 მთავარ მიმართულებას მოიცავს[1]:

- ცოდნის ტრანსფერი და ინოვაცია
- ფერმების სიცოცხლისუნარიანობა და კონკურენტუნარიანობა
- საკვების ღირებულებითი ჯაჭვის ორგანიზაცია და რისკების მენეჯმენტი
- ეკოსისტემების აღდგენა, დაცვა და წახალისება
- რესურსების დამზოგი და კლიმატის ცვლილებებისადმი მდგრადი ეკონომიკა
- სოციალური ინკლუზია და ეკონომიკური განვითარება

მე-6 მიმართულება - სოციალური ინკლუზია და ეკონომიკური განვითარება მიზნად ისახავს სოფლად სიღარიბის შემცირებას დივერსიფიკაციის, მცირე საწარმოების შექმნის და განვითარების წახალისების, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის ზრდის გზით[2]. სოფლად ეკონომიკის დივერსიფიკაციის ყველაზე მნიშვნელოვან საშუალებებად განხილულია არასასოფლო-სამეურნეო დამწყები ბიზნესების მხარდაჭერა და ამ სფეროში ინვესტიციების განხორციელება.[3]

1 https://enrd.ec.europa.eu/policy-in-action/rural-development-policy-figures/priority-focus-area-summaries_en
2 https://enrd.ec.europa.eu/sites/enrd/files/priority-6-summary.pdf
3 https://enrd.ec.europa.eu/sites/enrd/files/focus-area-summary_6a.pdf

2.2. სოფლად ეკონომიკის დივერსიფიკაცია ევროკავშირში

ევროკავშირის სასოფლო რაიონებმა ბოლო ათწლეულებში სერიოზული ცვლილებები განიცადეს. სოფლის მეურნეობის და სატყეო მეურნეობის მნიშვნელობამ შედარებით დაიკლო, პროდუქტიულობის ზრდამ გამოიწვია სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებულების შემცირება, ხოლო მომსახურების სექტორი გახდა სოფლის ეკონომიკის მთავარი დამსაქმებელი და ეკონომიკური ზრდის მამოძრავებელი (European Commission, 2016). ასევე აღსანიშნავია აღმავალი და დაღმავალი ინდუსტრიები[4] და საცალო ვაჭრობის სექტორი. სოფლად განვითარდა ახალი აქტივობები, როგორიცაა ტურიზმი, მცირე მასშტაბის და ნიშური წარმოება, საკვების წარმოება და ბიზნეს სერვისები. საინფორმაციო-საკომუნიკაციო სექტორის განვითარებამ ნაწილობრივ მოაგვარა ტერიტორიული სიშორის პრობლემა და სოფლის რაიონებს ბიზნეს შესაძლებლობების ფართო სპექტრს თავაზობს (European Commission, 2016).

ევროკავშირის ფერმერებმა განავითარეს დივერსიფიკაციის სხვადასხვა აქტივობები. მათ გადაწყვეტილებას აირჩიონ არაფერმერული საქმიანობა განაპირობებს კონკრეტული ფერმის სიდიდე, ფერმის სპეციალიზაცია, მდებარეობა, ფერმერის ასაკი, განათლების დონე და სხვა ინდივიდუალური მახასიათებლები, ადგილობრივი პირობები და პოტენციური ბაზრები (European Parliament, 2016).

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ევროკავშირი საკმაოდ პოლარიზებულია სოფლის ეკონომიკის დივერსიფიკაციის თვალსაზრისით. ევროკავშირის წევრი ქვეყნების ერთ ჯგუფში ის საკმაოდ გავრცელებულია, ხოლო სხვა ჯგუფებში თითქმის არ არსებობს. დივერსიფიცირებული ფერმერული მეურნეობების წილი 5%-ზე ნაკლებია იტალიაში, პოლონეთში, მალტაზე, ესპანეთში, საბერძნეთში, ბულგარეთში, რუმინეთში, კვიპროსზე და ლიტვაში, მაშინ როდესაც ეს მაჩვენებელი 52%-ს აღწევს დანიაში, 37.3%-ს ავსტრიაში, 33.8%-ს შვედეთში, 31%-ს გერმანიაში და 26%-ს ფინეთში (European Parliament, 2016). მაგალითისათვის, პოლონეთში დივერსიფიკაციის დაბალი მაჩვენებლის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს მცირე ფერმერებს შორის სურვილის ან უნარების არ ქონა, რომ გააფართოვონ თავიანთი შემოსავლების წყაროები. შესაბამისად, პოლონეთში აღნიშნული მიდგომის შეცვლა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია სოფლად ახალი ბიზნესების შესაქმნელად (OECD, 2018).

გარდა ამისა, მოსახლეობის შემცირება ევროკავშირის ზოგიერთ სასოფლო რაიონში იმდენად მასშტაბურია, რომ რთულია აღდგენის მიმართულების დანახვა, მაშინ როდესაც სხვა შემთხვევებში მოსახლეობის დაბრუნებას აქვს ადგილი (ENRD, 2017).

ევროკავშირის სასოფლო რაიონები შემდეგნაირად კლასიფიცირდება:

ცხრილი 1: სასოფლო რაიონების კლასიფიკაცია

რეგიონის ტიპოლოგია	**ფუნქციონირების მაჩვენებელი**
აგრარული რეგიონები უმეტესად პირველადი საქმიანობით	დაბალი, სოციალურ-ეკონომიკური გამოფიტვის ნიშნებით
მოხმარებაზე ორიენტირებული სასოფლო რეგიონები მცირე ფერმერულ მეურნეობებით სადაც რეკრეაცია და ტურიზმი წამყვანი საქმიანობებია	მაღალი
დივერსიფიცირებული რეგიონები ძლიერი სამრეწველო ბაზით	დაბალი, დამოკიდებულება კლებისკენ მიმავალ ინდუსტრიებზე
დივერსიფიცირებული რეგიონები ძლიერი საბაზრო მომსახურებებით	მაღალი

წყარო: ENRD, 2017

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ე.წ. „გონიერი სოფლების" განვითარებას, რაც გამოიხატა 2017 წელს შემუშავებული დოკუმენტით „ევროკავშირის ქმედება გონიერი სოფლებისათვის". გონიერი სოფლების განვითარებას განსაზღვრავს 5 ფაქტორი: რეაგირება მოსახლეობის კლებაზე და დემოგრაფიულ ცვლილე-

4 აღმავალი ინდუსტრია ნედლეულს გარდაქმნის შუალედურ პროდუქტად, ხოლო დაღმავალი ინდუსტრია შუალედური პროდუქტისგან ამზადებს საბოლოო პროდუქტს.

ბაზე, სახელმწიფო დაფინანსების შემცირების საპასუხოდ ადგილობრივი გადაწყვეტილებების ძიება, კავშირების ძიება მცირე და დიდ ქალაქებთან, სოფლის როლის ზრდა დაბალი ნახშირბადის შემცველი და ცირკულარული ეკონომიკის მიმართულებით, და სოფლის ციფრული ტრანსფორმაციის წახალისება (ENRD, 2018). ნათელია, რომ გონიერი სოფლების კონცეფცია გულისხმობს ეკონომიკურ დივერსიფიკაციას, რომელიც კონკრეტული ადგილის საუკეთესო საშუალებების გამოყენებაზეა ორიენტირებული.

3. სოფლის განვითარება საქართველოში

3.1. სოფლად ეკონომიკის განვითარების და არსებული პრიორიტეტების მიმოხილვა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის (3.71 მილიონი ადამიანი) 42.8% სოფლად ცხოვრობს. საქართველოს „სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის" მიხედვით სოფლის მოსახლეობისთვის დასაქმებისა და შემოსავლების მთავარ წყაროს სოფლის მეურნეობის სექტორი წარმოადგენს, ხოლო ალტერნატიული დასაქმების საშუალებები დაბალია, რაც პროფესიულ განათლებაზე და თანამედროვე ცოდნასა და ტექნოლოგიებზე დაბალ ხელმისაწვდომობასთან ერთად სოფლის ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ სისუსტეს წარმოადგენს. წინა თავში წარმოდგენილი კლასიფიკაციის მიხედვით ასეთი სასოფლო რაიონები ხასიათდება ფუნქციონირების დაბალი მაჩვენებლით და სოციალურ-ეკონომიკური გამოფიტვის ნიშნებით.

„სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის" მიხედვით, დაბლობთან და ურბანულ რეგიონებთან შედარებით კიდევ უფრო რთული ვითარებაა მაღალმთიან რეგიონებში, სადაც ეკონომიკის სუსტი დივერსიფიკაცია, მიგრაცია, უკიდურესი სიღარიბე, განუვითარებელი ინფრასტრუქტურა და ჯანდაცვა ძირითად პრობლემებს წარმოადგენს. საქმიანობა, რომელიც ქმნის სამუშაო ადგილებს უმნიშვნელოა, რაც იწვევს ახალგაზრდების მიგრაციას და მოსახლეობის ბუნებრივ კლებას.

მსოფლიო ბანკის 2019 წლის ანგარიშში ხაზგასმულია, რომ სიღარიბე სოფლად (26,4%) კვლავ პრობლემად დარჩება საქართველოში. შესაბამისად, დაბალ პროდუქტიულ სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ადამიანებისათვის ახალი სამუშაოს შესაძლებლობების უზრუნველყოფა და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში პროდუქტიულობის ზრდა გადამწყვეტი იქნება მის შესამცირებლად (World Bank, 2019).

სოფლად ეკონომიკური განვითარება, რომლის ერთ-ერთ მთავარ წარმმართველ ძალას წარმოადგენს ეკონომიკის დივერსიფიკაცია არის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ამოცანა. მისი წარმატებით გადაჭრა მნიშვნელოვანია ადგილობრივი და რეგიონული ეკონომიკური განვითარებისათვის.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმება ითვალისწინებს მხარეთა თანამშრომლობას სოფლის მეურნეობის და სასოფლო განვითარების კუთხით, რაც მოიცავს ადმინისტრაციული შესაძლებლობების განვითარებას, სოფლის განვითარების პოლიტიკის შესახებ ცოდნისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას, სოფლის მეურნეობის წარმოების მოდერნიზაციასა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობას. ევროკავშირსა და საქართველოს შორის შეთანხმებული 2017-2020 წლების დღის წესრიგი, რომელიც მიღებულია ასოცირების შეთანხმების განხორციელების ხელშესაწყობად, საშუალოვადიან პრიორიტეტად განსაზღვრავს სასოფლო რეგიონებში დასაქმებისა და ცხოვრების პირობების განვითარებას ბუნებრივი რესურსების გაუმჯობესებული მართვის, გაუმჯობესებული მომსახურების და ინფრასტრუქტურის და სასოფლო სამეურნეო ეკონომიკის დივერსიფიკაციის გზით.

სოფლად განვითარების უზრუნველყოფის მიზნით 2017 წელს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა „სოფლის განვითარების სტრატეგია 2017-2020", რომელსაც 3 პრიორიტეტში გაერთიანებული 9 ამოცანა გააჩნია (იხ. ცხრილი 2).

ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ ყველა პრიორიტეტის და მასთან დაკავშირებული ამოცანის იმპლემენტაცია მნიშვნელოვანია სოფლად ეკონომიკის დივერსიფიკაციისათვის.

საქართველოს შემთხვევაში მთავარი პრობლემა ის არის, რომ სოფლის ეკონომიკური განვითარების და ეკონომიკური დივერსიფიკაციის პოლიტიკა ბოლო დრომდე არ არსებობდა და შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება

ცხრილი 2: სოფლის განვითარების პრიორიტეტები, ამოცანები და მათი მნიშვნელობა სოფლად ეკონომიკის დივერსიფიკაციისათვის

პრიორიტეტი	ამოცანა	მნიშვნელობა სოფლად ეკონომიკის დივერსიფიკაციისათვის
ეკონომიკა და კონკურენტუნა-რიანობა	ფერმერული საქმიანობის ეკონომიკური გაჯანსაღება, რესტრუქტურირება და მო-დერნიზაცია დივერსიფიკაციისა და ეფექ-ტიანი მიწოდების ჯაჭვის განვითარების მეშვეობით.	მოდერნიზებული ფერმერული მეურნეო-ბები საშუალებას აძლევს ფერმერებს ჩა-ერთონ არასასოფლო სამეურნეო საქმია-ნობაში და ამისათვის გამოიყენონ ფერმის ინფრასტრუქტურა
	სოფლის ეკონომიკის დივერსიფიკაცია სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ღირებულებათა ჯაჭვის გაძლიერებით და მდგრადი არასასოფლო- სამეურნეო მი-მართულებების განვითარების საშუალე-ბით.	სოფლის მეურნეობის ძლიერი ღირებუ-ლებითი ჯაჭვი ხელს უწყობს კავშირებს სა-სოფლო და არასასოფლო სამეურნეო სექ-ტორებს შორის
	სოფლად ტურიზმისა და შესაბამისი ტუ-რისტული პროდუქტების განვითარება სოფლის სპეციფიკისა და უნიკალური კულტურული იდენტობის საფუძველზე	საერთაშორისო გამოცდილების მიხედვით, ტურიზმი სოფლად ეკონომიკის დივერსი-ფიკაციის სტრატეგიული მიმართულებაა
სოციალური პირობები და ცხოვრების დონე	ცნობიერების ამაღლება ინოვაციების და მეწარმეობის მიმართულებით, ასევე, თა-ნამშრომლობის წახალისება უნარ-ჩვევე-ბის განვითარებისა და დასაქმების ხელ-შეწყობით	გაზრდილი სამეწარმეო აქტივობა და ინვა-ციური ინიციატივები სოფლად ეკონომიკის დივერსიფიკაციის ერთ-ერთი წარმმართ-ველი ძალაა
	ინფრასტრუქტურა და სერვისები. სოფლის ძირითადი ინფრასტრუქტურის გაუმჯობე-სება და ხარისხიანი სახელმწიფო სერვი-სებით სარგებლობის ხელმისაწვდომობა, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნო-ლოგიების ჩათვლით.	განვითარებული ინფრასტრუქტურა და სერვისების მიწოდების გაუმჯობესება სოფ-ლის მეურნეობის და სხვა სექტორების გან-ვითარების საფუძველია
	ადგილობრივი მოსახლეობის ჩართუ-ლობა. სოფლის მოსახლეობის (გან-საკუთრებით ქალებისა და ახალგაზრდე-ბის) ჩართულობის გაზრდა ადგილობრივი საჭიროებების იდენტიფიცირებასა და მა-თი გადაწყვეტის გზების განსაზღვრაში.	მოსახლეობის ჩართულობით შემუშავებული ინიციატივები უფრო სიცოცხლისუნარიანია
გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა	წყლის, ტყისა და სხვა რესურსები. მიზ-ნობრივ სოფლის ტერიტორიებზე წყლის, ტყისა და სხვა რესურსების მართვის გა-უმჯობესება.	აღნიშნული რესურსების მართვის გაუმჯო-ბესება აჩენს ახალ სამეწარმეო ინიციატი-ვებს და ხელს უწყობს დივერსიფიკაციას
	ნარჩენების მართვა. სოფლად ნარჩენე-ბის მართვის მდგრადი სისტემების განვი-თარების ხელშეწყობა.	ნარჩენების მდგრადი მართვა უფრო მიმ-ზიდველს ხდის სოფლად ცხოვრებას და ეკონომიკური საქმიანობის წარმოებას
	კლიმატის ცვლილება. კლიმატის ცვლი-ლებით გამოწვეული შესაძლო ნეგატიური გავლენის შერბილების ღონისძიებების განხორციელება. რისკების შეფასება	კლიმატის ცვლილებებთან ბრძოლის პრო-ცესში ეკონომიკური შესაძლებლობების იდენტიფიცირება და მატერიალიზაცია

ქვეყანაში დაგროვილი არ არის. აღნიშნულის კომპენსირება ნაწილობრივ შესაძლებელია ევროკავშირის ინსტიტუტებში და წევრ ქვეყნებში დაგროვილი მდიდარი გამოცდილებით, თუმცა ადგილობრივ კონტექსტთან ადაპტირება ძალზედ ფრთხილად უნდა მოხდეს. ამისათვის საჭიროა როგორც სოფლის მოსახლეობის აქტიური ჩართულობა, ასევე ადგილობრივი და რეგიონული საჯარო და არასამთავრობო ინსტიტუტების უნარების განვითარება შესაბამისი პროექტების დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგის და შეფასების მიმართულებით. ამავე დროს, ჩამორჩენა სოფლის განვითარების პოლიტიკაში ართულებს ინოვაციური მიდგომების ფორმირებას სახელმწიფოს მხრიდან, ასევე მხარდაჭერის ზომების შემუშავებას, რომლებიც წაახალისებს ინოვაციებს სოფლად.

ინტერვიუების ერთ-ერთი რესპოდენტის აზრით, სოფლად ეკონომიკის განვითარების და დივერსიფიკაციის ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორია ინფორმაციის დეფიციტი - არსებული პროგრამების შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი. ამ პრომლემის მოგვარების ერთ-ერთი გზაა ერთობლივი უწყებრივი შეხვედრების ჩატარება, რომლებზეც სოფლის მოსახლეობას გააცნობენ კერძო სექტორის მხარდაჭერის არსებულ პროგრამებს (ინტერვიუ, 2019).

3.2 სოფლად ეკონომიკური დივერსიფიკაციის მხარდაჭერა

სოფლის განვითარების სტრატეგიის 2017 წლის სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მიხედვით, სოფლად ეკონომიკის დივერსიფიკაციის მხარდაჭერის მიზნით 2017 წლის განმავლობაში პროგრამის აწარმოე საქართველოში ინდუსტრიული კომპონენტის ფარგლებში ფინანსური მხარდაჭერა გაეწია 174 კომპანიას, საიდანაც 64 კომპანია პროგრამაში 2017 წელს ჩაერთო. ინვესტიციების ჯამურმა მოცულობამ შეადგინა 395 მლნ ლარი. მიმდინარე პროექტებში დასაქმებულთა რაოდენობა იყო 7639 ადამიანი, მათ შორის ახალ პროექტებში დასაქმდა 2100-ზე მეტი ადამიანი. ახლად ჩართულ კომპანიებთან სააგენტომ ,,აწარმოე საქართველოში'' გააფორმა ხელშეკრულებები კრედიტისა და ლიზინგის თანადაფინანსებაზე ავეჯის, მინერალური წყლების, სამშენებლო მასალების წარმოების, პოლიგრაფიული წარმოების და სხვა სფეროებში. პროექტები ხორციელდება იმერეთის, მცხეთა-მთიანეთის, სამცხე-ჯავახეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის და ქვემო ქართლის რეგიონებში. 2017 წელს მიკრო და მცირე მეწარმეობის განვითარების ფარგლებში ფინანსური მხარდაჭერა გაეწია 3498 ბენეფიციარს, ხოლო ბიზნეს-პროექტების რაოდენობამ 2109 შეადგინა.

ამავე ანგარიშის მიხედვით, მნიშვნელოვანი აქტივობები განხორციელდა სოფლად ტურიზმის ხელშეწყობის მიზნით. პროგრამის ,,აწარმოე საქართველოში'' სასტუმროს ინდუსტრიის მხარდაჭერის ფარგლებში 2017 წელს ფინანსური მხარდაჭერა გაეწია სასტუმროს მშენებლობაში ჩართულ 34 კომპანიას, მათ შორის გაფორმდა ხელშეკრულება 22 ახალი სასტუმროს მშენებლობაზე და განვითარებაზე. შიდა ტურიზმის წახალისების მიზნით, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მხარდაჭერით ჩატარდა 44 ღონისძიება, რომლებიც მოიცავდა პრეს-ტურებს, ასევე არსებული და ახალი ტურისტული ადგილების და პროდუქტების განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებებს. 2017 წელს განხორციელდა მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურის პროექტები, რომლებიც მოიცავდა 31 საინფორმაციო დაფის დამონტაჟებას და 27 ტურისტული ბილიკის მარკირებას. აღსანიშნავია, რომ საფეხმავლო ბილიკების შექმნა აკავშირებს სხვადასხვა სოფლებს და ტურისტულ ადგილებს, ასევე ხელს უწყობს სერვისებზე მოთხოვნის გაჩენას და განვითარების პერსპექტივის წარმოქმნას. სოფლად ღვინის ტურიზმის განვითარების მიზნით 2017 წელს დამონტაჟდა 224 საგზაო საინფორმაციო მანიშნებელი. სოფლად ტურიზმის მხარდაჭერის მიზნით 2017 წელს შეიქმნა 5 ბროშურა, ხოლო ტურისტული მომსახურების გაუმჯობესების მიზნით სხვადასხვა თემატიკაზე ჩატარდა 14 სწავლება და გადამზადდა 1328 ადამიანი.

სოფლად ეკონომიკური დივერსიფიკაციის ხელშეწყობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სააგენტოს ,,აწარმოე საქართველოში'' მიკრო და მცირე მეწარმოების ხელშეწყობის პროგრამა, რომელიც ხორციელდება საქართველოს ყველა რეგიონში თბილისის გარდა. პროგრამის ამოცანებია რეგიონული ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ზრდა, პროდუქციის ხარისხის ამაღლება, პროდუქციის დივერსიფიკაცია, თანამედროვე ბიზნეს პრაქ-

ტიკის დამკვიდრება, დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა და რეგიონის მკვიდრთა შემცირებული მიგრაცია.

სააგენტოს აწარმოე საქართველოში ინფორმაციის მიხედვით, 2015-2018 წლებში მიკრო და მცირე მეწარმოების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 912 საოჯახო სასტუმრო, 493 კვების ობიექტი, 451 სხვადასხვა მომსახურება, 338 ავტო-ტექნიკური მომსახურება, 325 სამკერვალო, 302 მექანიზაციის პროექტი, 221 მეფუტკრეობის განვითარების პროექტი, 201 რძის გადამამუშავებელი საწარმო, 153 ხის საამქრო და 134 სამშენებლო მასალების წარმოება.

სოფლად ეკონომიკური დივერსიფიკაციის წახალისებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამას (ENPARD).

ENPARD II-ის სოფლის განვითარების ინიციატივების ფარგლებში სოფლად ეკონომიკის დივერსიფიკაციის წასახალისელბლად შემდეგი ინიციატივები დაფინანსდა:

ცხრილი 3. ENPARD II-ის მიერ მხარდაჭერილი პროექტები

მუნიციპალიტეტი	ტურიზმი	მომსახურება, ვაჭრობა	წარმოება
ახალქალაქი	ტურიზმის საინფორმაციო ბაზა; სასტუმროს ტიპის კოტეჯების აშენება; სკვერის მოწყობა; სოფლად სასტუმრო სახლის მშენებლობა	ავტოსერვისი; რძის პროდუქტების საფირმო მაღაზია; სამკერვალო ატელიე;	ეკოლოგიურად სუფთა ლითონის ფურცლის წარმოება; ყველის წარმოება; ვულკანური წიდის მოპოვება და გადამუშავება
ბორჯომი	ელექტრონული ბილბორდის ინსტალაცია; საცხენოსნო ბიზნესის განვითარება; საიმიჯო ვიდეორგოლის გადაღება, ტურისტული რუკების შექმნა; ბორჯომის პარკის 3D მოდელის, GIS ბაზის და მობილური აპლიკაციის შექმნა; ღვინის პანორამა ტერასის მოწყობა; ტრადიციული მარნის მოწყობა; ეკო-ბანაკის მოწყობა; ველო-პარკის მოწყობა; ეროვნული პარკის ვიზიტორთა ცენტრის მოწყობა	ბავშვთა და ახალგაზრდობის ტრენინგ-ცენტრის განვითარება; საწვრთნელი ბაზის და სტადიონის მოწყობა; ფიტნეს ცენტრის მოწყობა	ტიხრული მინანქრის საწარმო; სასტუმროს აქსესუარების წარმოება; პოლიგრაფიული საწარმო; სუვენირების საწარმო; ცხოველების საკვებ-დანამატის წარმოება; კვერცხის საწარმო; პლასტმასის გადამამუშავებელი საწარმო
დედოფლის წყარო	ვიზიტორთა მომსახურების ცენტრი; სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია; ავტოტურების მოწყობა; ღვინის მარანი; ტურიზმის მომსახურების ცენტრი; საოჯახო სასტუმრო (2); რეკრეაციული ზონა;	სილამაზის სალონი; სამკერვალო; ტრაქტორების სახელოსნო; ხის სახელოსნო; სასაწყობე მეურნეობა.	შოკოლადის წარმოება; ჩირის წარმოება; სილამაზის სალონი; პურის საცხობი (2) ; თექის წარმოება;
ყაზბეგი	საოჯახო სასტუმრო; ტურები ელექტრო-ავტობუსით; პარაპლანით გასეირნება; ველოსიპედების გაქირავების სერვისი; ტურისტული გზამკვლევი;	ელექტრო მომსახურება; თეთრეულის სამრეცხაო; ვეტ-აფთიაქი; საცხობი და მიტანის სერვისი; სილამაზის სალონი; ავტოსამრეცხაო და ავტოსერვისი; ქორწინების ღონისძიების ორგანიზების სერვისი; ხარაჩოების გაქირავების სერვისი; თხილამურების გაქირავების სერვისი;	მავთულბადის წარმოება; იურიდიული მომსახურება; ქვის დამუშავება; ნაყინის წარმოება;

ქედა	სასტუმრო/ბეღელი/წისქვილი; კემპინგი; სასტუმრო/მარანი (4); მარანი; სასტუმრო (2); გლამ-პინგი; სასტუმრო კოტეჯები; მეკ-ლდეურობა;	ავტოსამრეცხაო;	ბეტონის ბოძების წარ-მოება;
ლაგოდეხი	ტურისტული კომპლექსი და ტერასა; საოჯახო სასტუმრო;	სამაცივრე მეურნეობა; ავტოსერვისის ცენტრი;	მეორადი ცელოფნის გადამუშავება;
თეთრიწყარო	აგროტურისტული კომპლექსი; პარკი; სასტუმრო; საოჯახო სას-ტუმრო (4); საოჯახო მარანი.	მექანიზაცია (5); კვე-ბის ობიექტი; სამაცივ-რე მეურნეობა; ავტო-სერვისი (2); პურის საცხობი;	ბლოკის წარმოება; საფუტკრე მეურნეობის-თვის საჭირო ნივთების დამზადება;

2019 წლის 1-ელ ნახევარში ხულოს რაიონში ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროექ-ტის „სოფლის განვითარებისა და დივერსიფი-კაციის ხელშეწყობა ხულოს მუნიციპალიტეტში" ფარგლებში ჩატარებულ საგრანტო კონკურს-ზე 120 განაცხადი შევიდა და გამარჯვებულად გამოცხადდა 27 პროექტი. არასასოფლო სა-მეურნეო მიმართულებით დაფინანსდა მეღვი-ნეობის, ავტომობილების ტექნიკური მომსახუ-რების, მოზაიკური ქვების წარმოების, მატყლის და ლეიბების სამკერვალოს, ავეჯის წარმოე-ბის, ხორცის გადამუშავების და ლუდსახარშის ბიზნეს პროექტები, ასევე სოფლად ტურიზმის განვითარების 12 პროექტი (10 საოჯახო სას-ტუმრო, 1 აგროტურიზმი და 1 ტურების მიმწო-დებელი სერვისი)[5].

ინტერვიუების ერთ-ერთმა რესპოდენტმა აღ-ნიშნა, რომ ხულოს რაიონში მოქმედი საგ-რანტო კომპონენტის ფარგლებში საპროექტი წინადადებები ძირითადად ტურიზმის დარგში შემოდის, რაც განპირობებულია ინფრასტ-რუქტურის განვითარების კვალდაკვალ ტურიზ-მის პოტენციალის ზრდით. ინფრასტრუქტურის და კურორტების განვითარება ასევე იწვევს მოთხოვნას სხვადასხვა სერვისების განვი-თარებაზე, როგორიცაა მაღაზიები, სწრაფი კვება, ავტოგასამართი სადგურები, თხილამუ-რების გაქირავება (ინტერვიუ, 2019). მთლი-ანობაში, ხულოს რაიონში მოსახლეობა თავს იკავებს ახალი ბიზნეს ინიციატივებისაგან, ასე-ვე საჯარო სამსახურიდან ბიზნესში გადანაც-ვლებისგან. შემოსული ბიზნეს წინადადებები ძირითადად ერთგვაროვანია და შეიმჩნევა ინოვაციური წინადადებების ნაკლებობა. შესა-ბამისად, საჭიროა მოსახლეობის წახალისება საგრანტო და ბიზნეს პროექტების დივერსიფი-ცირების მიზნით, ასევე ბიუჯეტის დაგეგმვის და ადგილობრივი განვითარების სტრატეგიების შექმნაში მოსახლეობის ჩართულობის გაზრდა (ინტერვიუ, 2019).

4. საერთაშორისო გამოცდილება - სოფლად ეკონომიკის განვითარება შოტლანდიაში

მოსახლეობის რაოდენობით, ტერიტორიით, ბუნებრივი და კულტურული სიმდიდრით შოტ-ლანდიას და საქართველოს ბევრი მსგავსება აქვთ. შოტლანდიას სოფლად ეკონომიკის განვ-ითარების წახალისების მდიდარი გამოცდი-ლება აქვს, რაც რელევანტური და სასარგებ-ლოა საქართველოსათვის.

შოტლანდიაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სოფლის რაიონების არაერთგვაროვ-ნებას და ქვეყანაში არსებული სასოფლო რაი-ონების განსხვავებულ საჭიროებებს. შესაბამი-სად მთავრობა აყალიბებს მოქნილ მიდგომას, რათა უპასუხოს თითოეული სასოფლო საზოგა-დოების განსაკუთრებულ პირობებს (Scottish Executive, 2005).

შოტლანდიის სასოფლო რაიონები არ განიხი-ლება როგორც ერთი მთლიანი ერთეული. სა-სოფლო რაიონების მახასიათებლები და მათი პრობლემები განსხვავდება ქვეყნის მიხედვით: აქ გვხვდება დაშორებული და მეჩხრად დასახ-ლებული რაიონები, „მწვანე სარტყლის" გა-დატვირთული რაიონები, გამდიდრებული და ეკონომიკური სირთულეების მქონე რაიონები. სხვადასხვა რაიონებისათვის საჭიროა პოლი-ტიკის განსხვავებული მიდგომები და ტიპოლო-გიები (Scottish Executive, 2005).

[5] http://www.khulolag.ge/ka/news/2019-04-17-xu-los-municipalitetshi-evrokavshiris

შოტლანდიის ხელისუფლების განმარტებით სოფლად ეკონომიკის დივერსიფიკაცია ნიშნავს ახალი საწარმოების დაარსებას სასოფლო რაიონებში. ეს შეიძლება მოიცავდეს არსებული ბიზნესების შესვლას ახალ სფეროებში, ან სრულიად ახალი საწარმოების შექმნას. სოფლად ეკონომიკის დივერსიფიკაცია შოტლანდიაში ორ ფაზად განხორციელდა: პირველში დივერსიფიკაცია მიმდინარეობდა ფერმერული მეურნეობების ფარგლებში და შემოსავლის ალტერნატიულ წყაროებს ძირითადად წარმოადგენდა ფერმაში მოყვანილი პროდუქტის დამუშავება, საცალო ვაჭრობა, ასევე ისეთ სფეროებში შესვლა როგორიცაა ტურიზმი, დასვენება, სატყეო მეურნეობა. დივერსიფიკაციის მეორე ტალღა არ არის დაკავშირებული მხოლოდ ფერმერულ მეურნეობებთან და მასზე გავლენას ახდენს ურბანული ცენტრებიდან მიგრაცია სოფლად, საცხოვრებელი ბუმი და გაზრდილი სამეწარმეო აქტივობა (OECD, 2008).

სულ უფრო მეტ ადამიანს აქვს წვდომა სასოფლო რაიონებზე, შესაბამისად შოტლანდიის სასოფლო რაიონებში იზრდება ტურიზმის და დასვენების სექტორები (Scottish Executive, 2005). აღსანიშნავია, რომ სოფლად ტურიზმის განვითარებას ხელს უწყობს შოტლანდიის მდიდარი ბუნებრივი და კულტურული რესურსები, როგორიცაა ეროვნული პარკები, ტყეები, მთები, კუნძულები, სანაპიროები და ბიომრავალფეროვნება. 21-ე საუკუნის დასაწყისში შოტლანდიის მოსახლეობის ნახევარი რეკრეაციის მიზნებისათვის სტუმრობდა სასოფლო რაიონებს ისეთი აქტივობებისათვის, როგორიცაა ფეხით სეირნობა, ალპინიზმი, ცხენით ჯირითი, კანოეთი გასეირნება, ნაოსნობა, თევზაობა, ჩიტებზე დაკვირვება და მთებში ველოსიპედით სეირნობა (OECD, 2008). ამ პერიოდში ჩიტებზე დაკვირვება შედარებით ახალი აქტივობა იყო და გათვლების მიხედვით ამ სფეროში 170 სამუშაო ადგილი შეიქმნა (OECD, 2008).

ფართო წვდომა სასოფლო რაიონებზე ასევე ნიშნავს, რომ უფრო მეტმა ადამიანმა შეიძლება გადაწყვიტოს სოფლად ცხოვრება და პარალელურად ურბანულ ცენტრებში მუშაობის გაგრძელება. საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება ნიშნავს, რომ საქმიანობები, რომლებიც ადრე მოითხოვდა ოფისის ქონას ქალაქში, შეიძლება ამჟამად ნებისმიერ ადგილას იწარმოოს და სულ უფრო ბევრი ადამიანი არჩევს ცხოვრებას და მუშაობას სასოფლო რაიონებში. სოფლად ეკონომიკის დივერსიფიკაცია მხარს უჭერს ეკონომიკური საქმიანობის გაღრმავებას სოფლად, საშუალებების უზრუნველყოფას და უფრო დაბალანსებული და სტაბილური ეკონომიკის შექმნას (Scottish Executive, 2005).

შოტლანდიის ხელისუფლების ხედვით სოფლად ეკონომიკის დივერსიფიკაციას შეუძლია ადამიანების მოზიდვა პრობლემების წინაშე მდგარ რაიონებში და ადგილობრივი ეკონომიკის ზრდაში დახმარება. მას ასევე შეუძლია მგზავრობის რაოდენობების შემცირება, ადგილობრივი ბუნებრივი და კულტურული სიმდიდრეების დაცვა, მიტოვებული საწარმოების გაცოცხლება და გარემოს გადახალისება. მდგრადი დივერსიფიკაცია შეიძლება მოიცავდეს ახალ სახლებსაც. დამგეგმავებისთვის მნიშვნელოვანია გაითვალისწინონ ეკონომიკური, სოციალური, ასევე გარემოს დაცვითი ზეგავლენა (Scottish Executive, 2005).

აღსანიშნავია, რომ სოფლად ეკონომიკური განვითარება შოტლანდიაში პოზიტიური დინამიკით ხასიათდება. 2007-2015 წლებში სოფლის ეკონომიკა 6.6 მილიარდი ფუნტით გაიზარდა და 34.6 მილიარდი ფუნტი შეადგინა, რაც შოტლანდიის ეკონომიკის 27%-ს წარმოადგენს. 2015 წლისათვის სოფლად შოტლანდიის მოსახლეობის 20% ცხოვრობდა. შედარებისათვის, შოტლანდიის უდიდესი ქალაქების, გლაზგოს და ედინბურგის ეკონომიკებმა ამავე პერიოდისათვის შეადგინა 38 მილიარდი ფუნტი. (NCRA, 2018).

შოტლანდიის სოფლის განვითარების მრჩეველთა ეროვნული საბჭოს ხედვით, შოტლანდიის სოფლის ეკონომიკის განვითარების ჩარჩო შემდეგზე უნდა იყოს ორიენტირებული:

- ეროვნული პოლიტიკის ჩარჩოში შემავალი სოფლის ეკონომიკა, რომელსაც თანაბარი მნიშვნელობა ენიჭება პოლიტიკის შემუშავების და საჯარო ინვესტიციების შესახებ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში
- ეროვნული ეკონომიკის გეგმების და ინდუსტრიული სტრატეგიების არსებობა
- სოფლად ეკონომიკის შესახებ ამბიციური და დამაჯერებელი ნარატივის შექმნა და კომუნიკაცია

- სოფლის ეკონომიკაში დივერსიფიცირებული ზრდის შესაძლებლობა მიზნობრივი მხარდაჭერის და სანდო ფინანსური მოდელების დახმარების გზით
- ბუნებრივი სიმდიდრის მოვლა და ამ სფეროში დაკავებული ადამიანების დაფასება
- კვალიფიციური, მოქნილი, ადაპტაციის უნარის მქონე სოფლის მოსახლეობა
- მდგრადი და მომგებიანი პირველადი წარმოება
- სოფლად ბიზნესის წარმოებისათვის და ზრდისათვის მხარდამჭერი გარემოს არსებობა
- სოფლად საცხოვრებლით უზრუნველყოფის გაუმჯობესებული წვდომა
- ძლიერი ინფრასტრუქტურის არსებობა (NCRA, 2018).

5. რეკომენდაციები

სოფლად ეკონომიკის დივერსიფიკაციის მხარდასაჭერად მნიშვნელოვანია შემდეგი რეკომენდაციების განხორციელება:

- **ინოვაციები სოფლის ეკონომიკური განვითარების პოლიტიკაში და განხორციელებაში** - საქართველოში არსებული მწირი გამოცდილების გათვალისწინებით, ინოვაციურ პოლიტიკად შეგვიძლია ჩავთვალოთ ევროკავშირში აპრობირებული და საქართველოს გამოწვევებთან და ადგილობრიც კონტექსტთან თავსებადი სოფლის განვითარების პოლიტიკა, რომელიც მხარს უჭერს ეკონომიკურ განვითარებას დივერსიფიკაციის გზით. შესაბამისი სამთავრობო და არასამთავრობო ინსტიტუტები აქტიურად უნდა სწავლობდნენ წარმატებული ევროპული ქვეყნების გამოცდილებას ამ სფეროში და ახდენდნენ მათ ადაპტაციას. ევროპული გამოცდილება უნდა აისახოს სოფლის განვითარების სტრატეგიებში, მხარდამჭერი პროგრამების განმახორციელებელი უწყებების ინსტიტუციურ მოწყობაში და მათ საქმიანობაში.
- **სოფლად კერძო სექტორის მხარდაჭერის პროგრამების გაგრძელება და მათი მოდიფიკაცია მიღებული შედეგების და არსებული გამოცდილების შესაბამისად** - საჭიროა კერძო სექტორის მხარდაჭერის პროგრამების მაქსიმალური დივერსიფიკაცია სოფლად არსებული განსხვავებული საჭიროებების შესაბამისად. სოფლად კერძო სექტორის განვითარების პრობლემების საპასუხოდ, მხარდაჭერის პროგრამები უნდა იყოს ინოვაციური და ადგილობრივ პირობებზე ადაპტირებული. მეწარმეებს უნდა შეეძლოთ მხარდაჭერის მიღება ყველა ეტაპზე, დაწყებული ბიზნეს იდეიდან, გაგრძელებული ბიზნეს გეგმის შედგენით და განხორციელებისათვის საჭირო ფინანსური, ასევე ექსპერტული და მენტორული მხარდაჭერის მოპოვებით. ასეთი პროგრამები მნიშვნელოვან სტიმულს მიცემს სოფლად მეწარმეობის განვითარებას და წვლილს შეიტანს სოფლად ეკონომიკის დივერსიფიკაციაში. პროგრამები უნდა ეფუძნებოდეს სოფლად საწარმოების საჭიროებების სიღრმისეულ კვლევას და შეფასებას. მხარდაჭერის პროგრამების შემუშავების პროცესში სასარგებლო იქნება ადგილობრივი განვითარების ჯგუფების (Local Action Group) ჩართვა, რომელთაც მნიშვნელოვანი ცოდნა დაუგროვდათ შესაბამის სასოფლო რაიონებში კერძო სექტორის პრობლემების, საჭიროებების და პერსპექტივების შესახებ. შორი მანძილის მხედველობაში მიღებით, ცენტრალურმა ინსტიტუტებმა უნდა შეიმუშაონ მომსახურების და კონსულტაციის დისტანციურად მიწოდების პლატფორმები, რაც გაზრდის სოფლის მაცხოვრებლების გათვითცნობიერებას მხარდაჭერის არსებული პროგრამების შესახებ.
- **სასოფლორაიონებისინტერნეტზეხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.** ეს არის პირველი რიგის ამოცანა საცხოვრებლად და სამუშაოდ სასოფლო რაიონების მიმზიდველობის გასაუმჯობესებლად, სასოფლო და არასასოფლო ბიზნესის საწარმოებლად და დივერსიფიკაციისათვის ხელსაყრელი გარემოს შესაქმნელად. მაღალსიჩქარიანი ინტერნეტი უზრუნველყოფს სოფლად მაცხოვრებელი ადამიანების ხელმისაწვდომობას ინფორმაციაზე, ელექტრონულ სავაჭრო პლატფორმებზე, იძლევა.

სოფლად ნაწარმოები პროდუქციის და მომსახურების მომხმარებლისთვის შეთა-

ვაზების საშუალებას, მხარს უჭერს საჯარო სერვისების მიწოდებას და სამედიცინო სერვისებით უზრუნველყოფას. ცალკეულ შემთხვევებში შესაძლოა განხილულ იქნას საჯარო-კერძო სექტორის პარტნიორობის პლატფორმების გამოყენება ინტერნეტთან წვდომის უზრუნველყოფისათვის.

- **„შთაბეჭდილებების ეკონომიკის“ სექტორის განვითარების მხარდაჭერა.** აღნიშნული სექტორი უნდა გახდეს სოფლად ეკონომიკის დივერსიფიკაციის წარმმართველი. ის ეფუძნება ბუნებრივ სიმდიდრეებს მთების, ტყეების, სანაპიროების სახით, კულტურულ და ისტორიულ ადგილებს და ადგილობრივი სპეციფიკის მქონე პროდუქტებს (ENRD, 2017). საქართველოში მზარდი ტურიზმის სექტორი და ვიზიტორების მატება კარგ საფუძველს ქმნის სოფლად აღნიშნული სექტორის გასავითარებლად. აუცილებელია ჩატარდეს სიღრმისეული კვლევები ცალკეულ რეგიონებში „შთაბეჭდილებების ეკონომიკის“ განვითარების პოტენციალის შესახებ, გაიზარდოს სოფლად მაცხოვრებელი ადამიანების ცოდნა პოტენციურ საშუალებებზე და მოხდეს საპილოტე პროექტების განხორციელება.

დანართი: კვლევის პრეზენტაციები

პი ემ სი კვლევითმა ცენტრმა პოლიტიკის ნარკვევის სამუშაო ვერსია წარადგინა GAARD-ის შეხვედრაზე, ასევე მცხეთა-მთიანეთში, იმერეთში და აჭარაში გამართულ სამუშაო შეხვედრებზე რეგიონების სამოქალაქო საზოგადოებების და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენლების მონაწილეობით. კვლევის ავტორმა დამსწრეებს გააცნო მთავარი მიგნებები, საერთაშორისო გამოცდილება და რეკომენდაციები. შეხვედრებზე გამართულ დისკუსიებზე გამოიკვეთა რამდენიმე ფაქტორი, რომლებიც ამ დანართშია წარმოდგენილი.

მცირე ფერმერებზე მორგებული მხარდაჭერა

მეწარმეობის მხარდაჭერის პროექტების შემუშავებისას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს მცირე ფერმერების საჭიროებებს და მათ მხარდაჭერას ეკონომიკური საქმიანობის დივერსიფიცირების საქმეში. მცირე ფერმერების საჭიროებების განსაზღვრაში აქტიურად უნდა მოხდეს ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფების (LAG) რესურსების გამოყენება. უნდა მოხდეს მცირე ფერმერების ინფორმირება ეკონომიკური საქმიანობის დივერსიფიკაციის შესაძლო სარგებლის შესახებ, ასევე ფინანსური მხარდაჭერის და ტექნიკური დახმარების ინსტრუმენტების დახვეწა და მათ საჭიროებებზე მორგება.

კერძო სექტორის მხარდაჭერის პროგრამებზე გათვითცნობიერების გაზრდა

მიმდინარე სახელმწიფო პროგრამების სიკეთეებით სარგებლობის ხელისშემშლელი ფაქტორებია შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებასთან დაკავშირებული სირთულეები, ადგილებზე ინფორმაციის და კონსულტაციაზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა, რიგ შემთხვევებში ინფორმაციის მისაღებად თბილისში ჩასვლის საჭიროება. ამ პრობლემების აღმოსაფხვრელად საჭიროა კერძო სექტორის მხარდამჭერი ინსტიტუტების შესაბამისი სერვისების დახვეწა და მათი თანამშრომლობის გააქტიურება ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებთან, რათა ერთობლივად მოხდეს რეგიონებში მოქმედი მეწარმეების ინფორმაციით უზრუნველყოფა და მათთვის კონსულტაციების გაწევა.

კერძო სექტორის მხარდაჭერის პროგრამების მონიტორინგის და შეფასების სისტემა

მეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამების ეფექტურობის შესაფასებლად, არსებული ხარვეზების გამოსავლენად და აღმოსაფხვრელად, ასევე პროგრამების დასახვეწად აუცილებელია მონიტორინგის და შეფასების სისტემების შემუშავება და დანერგვა. ამ პროცესში აქტიურად უნდა მოხდეს საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა და საქართველოს რეალობაზე ადაპტირება.

გამოყენებული ლიტერატურა

- European Communities (2008) – "EU Rural Development Policy 2007-2013", Fact Sheet
- European Commission (2016) – "A Strategy Approach to EU Agricultural Research & Innovation"
- Perpar A., Udivc A. (....) - "Development Potentials of Rural Areas – The Case of Slovenia"
- OECD (2008) – "OECD Rural Policy Reviews – Scotland, UK"
- OECD (2013) – "Rural-Urban Partnerships – An Integrated Approach to Economic Development"
- OECD (2018) – "Rural 3.0 – A Framework for Rural Development", Policy Note
- OECD (2018) – "OECD Rural Policy Reviews: Poland 2018"
- European Parliament (2016) – "Farm Diversification in the EU"
- European Parliament, Council of the European Union (2013) - "REGULATION (EU) No 1305/2013 OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 17 december 2013 on support for rural development by the European Agricultural Fund for Rural Development (EAFRD) and repealing Council Regulation (EC) No 1698/2005
- European Network for Rural Development, European Agricultural Fund for Rural Development, 2016 – "Smart and Competitive Rural Areas"
- European Network for Rural Development, 2018 – "Smart Village: Revitalizing Rural Services"
- European Network for Rural Development, (2017) - "Re-imagining Rural Business Opportunities"
- National Council for Rural Advisers (2018) – "A New Blueprint for Scotland's Rural Economy: Recommendations to Scottish Ministers"
- Scottish Executive, (2005) – "Rural Diversification"
- World Bank Group, (2019) – "Financial Inclusion - Europe and Central Asia Economic Update"
- საქართველოს მთავრობა (2017) - „სოფლის განვითარების სტრატეგია 2017-2020",
- ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების 2017-2020 წლების დღის წესრიგი (2017)
- ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის (2014)

Research